

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 9

5 სექტემბერი 2012 წელი

ქ. ბათუმი

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ქეთევან ჯიქია, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე, თამარ ხოზრევანიძე, რამაზ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩახვაძე, დიმიტრი დარჩია, მამუკა ჯაში, ლილე ტეტემაძე, ნანა დავითაძე და ლევან გაბრიჩიძე.

**არ ესწრებოდა:** გია გარსევანიშვილი.

**აგრეთვე ესწრებოდნენ:** უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლები.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**აზრი გამოთქვას:** კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 12;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი:)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**  
**დღის წესრიგი**

1. განკარგულება - ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ;
2. განკარგულება - საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ფორმის დამტკიცების შესახებ;

3. განკარგულება - ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;
4. სხვადასხვა.

## 1. განკარგულება

ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე	12;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელის ფორმა თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პროპორციული საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი (ფორმა №2-07.46.04);

ბ) მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტის თავფურცელი (ფორმა №2-07.46.05).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი,

ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

## 2. განკარგულება

საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ფორმების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ფორმების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე	12;
წინააღმდეგი	0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმა №1-07.55.03);

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.56.03);

გ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო პროპორციული) (ფორმა №1-07.57.03);

დ) საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი (საოლქო მაჟორიტარული) (ფორმა №1-07.58.03).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

### 3. განკარგულება

**ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.**

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.  
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

**კენჭისყრის შედეგი:** მომხრე 12;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 12 წევრი).

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობის ფორმა (№6-07.37.03).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ წამოჭრილა

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

არჩილ მიქელაძე

ქეთევან ჯიქია